საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1002/01
04/02/2022

1002-01-2-202202041309

შპს „დაგს“
მის: ქ. თბილისის, მიცკევიჩის ქ. N29
ელ. ფოსტა: office@dagi.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 23 დეკემბრის N23700 განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცხვარიჭამიას, თეზამისა და კევლიანის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის პროექტს. გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებული უნდა იყოს განცხადების წარმოდგენის საფუძველი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისი დანართის შესაბამისი პუნქტ(ებ)ის მითითებით;
- წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში, საქმიანობის განმახორციელებლის გრაფაში მითითებულია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სკრინინგის განცხადებას უნდა ერთოდეს საპროექტო არეალის shp ფაილები;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული ინფორმაცია პროექტის განხორციელების შედეგად მოსაჭრელი ხე-მცენარეების შესახებ, მათი სახეობებისა და რაოდენობის მითითებით;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, რამდენიმე საპროექტო ობიექტი მოქცეულია თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიის საზღვრებში, შესაბამისად, წარმოდგენილ განცხადებას თან უნდა ერთოდეს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია დაცულ ტერიტორიებზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეებისა და მასშტაბის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

ხსენებული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე